ნესტან სულავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
599 723488; nestan.sulava@tsu.ge

ტრაგიკული ეტიუდები ე.წ. ბორდერიზაციის სამყაროდან - გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „ბოთე“

ცნობილი მწერალი, ისტორიკოსი, არაჩვეულებრივი პიროვნება გიორგი სოსიაშვილი თანამედროვე ქართული პროზის საუკეთესო წარმომადგენელია, რომელმაც თავისი ორიგინალური სიტყვიერი ნიმუშებით ქართულ მწერლობას უკვე ტომები შესძინა და ქართულ ლიტერატურაში მკვიდრი ადგილიც მოიპოვა. გიორგი სოსიაშვილის თხზულებებმა ტკივილიანი თემატიკის, იდეის, მიზანდასახულობის გამო, დიდი ხანია მიიქცია მკითხველის ყურადღება. მისი მხატვრული მემკვიდრეობის ძირითადი თემა სამაჩაბლოსთან დაკავშირებული პრობლემებია, რაზეც განსაკუთრებული გულისტკივილით, სისათუთითა და სიყვარულით საუბრობს და მკითხველსაც იმასვე აზიარებს, რასაც თვითონ განიცდის. მის მოთხრობებსა და რომანებში მხატვრულადაა ასახული ქართული ეთნოსის თვითაღქმის მეტაფორა, რომელიც თავისი დადებითი და უარყოფითი კონოტაციით თვალსაჩინოვდება. ახლახან გამოქვეყნებული მისი მოთხრობა **„ბოთე“** წარმოაჩენს კოლონიური მდგომარეობისაგან დაჩაგრული და მთელი დანარჩენი სამყაროს წინაშე სრულიად მარტოკა დარჩენილი ჩვენი თანამემამულეების უმძიმეს მდგომარეობას, ფსიქოლოგიურ ტრავმას და კერძო ტკივილიდან საზოგადომდე აყვანილ ტრაგედიას ერთი ოჯახისა და მისი თანასოფლელების ცხოვრების კვალდაკვალ. საზოგადოდ, გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები და რომანები თანამედროვე ცხოვრების მხატვრული მატიანეა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლიახვის ხეობაში, სოფელ დიცში დაბადებულ-გაზრდილი ავტორის მიერ დანახული და აღქმული გარემო უფრო მძიმე და ტკივილიანია, ვიდრე გარეშეს თვალით დანახული. ეს მოთხრობა, როგორც მწერლის სხვა თხზულებები, აჩვენებს უდიდეს ეროვნულ ტკივილებს, ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის მწვავე სურათებს და მათ კვალს პერსონაჟის ცნობიერებაზე.

„ბოთე“ დიცის მკვიდრის, დიცში მცხოვრები ერთი ოჯახის ისტორიას ასახავს, რაც განზოგადებულად გვაცნობს მთელი სამაჩაბლოს სავალალო და ტრაგიკულ ხვედრს, და არამხოლოდ სამაჩაბლოს, არამედ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების ტრაგედიას და იქ მცხოვრებთა ხვედრს. თხზულება ყურადღებას იქცევს მძაფრად განვითარებული სიუჟეტის საფუძველზე კონკრეტულ პერსონაჟთა შთამბეჭდავი სახეების ასახვით. მწერლის მიზანია ასახოს საქართველოს ძნელბედობით აღსავსე ისტორია ლიტერატურაში; ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების, საკუთარი მიწა-წყლის, სახლ-კარის ძალადობრივად წართმევა „უცხოს“ მიერ „ჩემის“ მითვისების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმა მთავარი პერსონაჟის, არსენასა და მისი ოჯახის, მისი მეზობლების ფონზე რეალისტურად, თითქმის დოკუმენტურადაა აღწერილი. მოთხრობაში ნაჩვენებია ქართულ-ოსურ-რუსული ურთიერთობები და დაპირისპირებები, რუსული უხეში დამპყრობელი ძალის გამოვლინება ე.წ. ბორდერიზაციით, რაც უსახლკაროდ ტოვებს ე.წ. სასაზღვრო ზოლად ქცეული სოფლის მცხოვრებ მოსახლეობას. აქ ოსმალთა ე.წ. ბორდერიზაცია შეცვლილია რუსულ-ოსურით. აგრესორის მიზანმიმართულმა ნეგატიურმა

ზემოქმედებამ, მის მიერ მძიმე ფიზიკური ძალის გამოყენებამ პოსტსაბჭოთა სივრცეში სრული ძალაუფლების შესანარჩუნებლად, უმძიმესი დაღი დაასვა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციულ ყოფას. ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად რთულ ვითარებაში მყოფი პერსონაჟის ტრაგედიას, რაც ეროვნულ ტრაგედიადაა განცდილი და ასახული, ოჯახის ტრაგედიაც ემატება.

„ბოთეს“ თხრობა პირველ პირში წარიმართება, მისი პერსონაჟი, არსენა, თვითონ გვიამბობს თავისი ოჯახის ისტორიას, როგორ გაიზარდა უმამოდ თავის ორ ძმასთან ერთად ქოხში, ობლობაში, გაჭირვებაში; თხრობის სტილით თხზულება კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს, უფრო მეტი უშუალობითაა ნაჩვენები ის ტკივილი, რომლითაც შეპყრობილია პირველ პირში მთხრობელი პერსონაჟი, რომელსაც მამა კარგად არც ახსოვდა, ომში წავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. როგორც თავად ამბობს, ქოხიდან გამოსულმა კაცმა თავისი ოფლით ისეთი უზარმაზარი სახლი წამოჭიმა, რომ შორიდან ანათებდა და მთელ სოფელში გამოირჩეოდა. მწერალი დეტალურად აღწერს პერსონაჟის მიერ სახლის აშენების პროცესს, რათა უფრო მძაფრი სურათი დახატოს და წინასწარვე მონიშნოს, მის ნაწვალებს, მის ნაამაგარს საფრთხე რომ მოელის. სახლი საგანგებოდ შერჩეული აგურით ააგებინა თავისი საქმის მცოდნეს, სომეხ სარქისას. გაზაფხულზე გადახურა კიდეც. მოაწყო, გაალამაზა. დაოჯახდა, ვაჟიშვილიც შეეძინა, კარგადაც აღზარდა. მამისთვის მტკივნეული აღმოჩნდა შვილის ნაბიჯი, რადგან ქალაქელი ქალი შეირთო და ახალგაზრდებმა სოფელში ცხოვრება აღარ ინდომეს. არსენა როგორ არ შეეცადა მის გადაბირებას, რომ დაებრუნებინა სოფელში, მაგრამ ამაოდ. ნაწარმოების დასაწყისში მონიშნულია მიტოვებული სახლ-კარის ხვედრი, კლიტედადებული სახლები, რომელთა დანახვა გულს უწუხებდა. ენიშნებოდა, თავადაც ხომ იგივე არ ელოდა და განიცდიდა. მისი ეს განცდები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მწვავე სატკივარი და ტრაგედია იმ მხრიდან დაატყდა თავს, საიდანაც ნაკლებად ელოდა. მეუღლეს წნევამ ორჯერ დაარტყა, ცალი მხარე წაართვა, ლოგინად ჩავარდა, ვითარება სავალალო იყო. მოსავლელი გახდა, ენას ვერ იმორჩილებდა და ვერ ლაპარაკობდა. დედა შვილმა წაიყვანა ქალაქში. დარჩა არსენა მარტოკა, სხვა რამდენიმე მეზობელთან ერთად. მწერალმა აჩვენა ის ტრაგედია, რაც სოფლის მცხოვრებთა ყოფაში დამკვიდრდა, სოფელში სულ რამდენიმე კაცი დარჩა, რომელბიც მთელი სოფლის ძროხებს უვლიდნენ, ბალახს უთიბავდნენ, უპატრონოდ არ ტოვებდნენ. მაგრამ განა ეს დიდხანს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო? ოსებმა მეზობლის სახლი გადაბუგეს, რაც ოსებმა დააკლეს, რუსებმა შეუთავეს. სადაა სამართალი! გასდით და რა უნდა ქნა! მსჯელობდა არსენა და თავისი სოფლის ზეცას გაჰყურებდა, რომლის თავზე ღრუბლები გროვდებოდა. ფიქრობდა უპატრონოდ მიტოვებულ სახლებზე, სოფელზე, დარჩენილ მეზობლებზე. ყველაზე ახლო ჭირისუფალი მისი ძაღლი იყო, რომელიც შვილმა მოუყვანა და სახელიც მანვე უწოდა, ბოთე დაარქვა. მხოლოდ ეს ძაღლი იყო არსენას მესაიდუმლე, დარდის მონაწილე და გამზიარებელი, რომელიც მოთხრობის დასასრულს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი არსის გამომხატველ ღრმად გასააზრებელ მეტაფორად წარმოგვიდგება. 2008 წლის ომი კი, რომელიც, მართალია, რამდენიმე დღეში დამთავრდა, მაგრამ მერე დაიწყო, რაც დაიწყო და მოთხრობაც ომისშემდგომ პროცესებს შეულამაზებლად, რეალისტის თვალით დანახულ ფაქტებად ალაგებს და ასახავს. თავდაპირველად რომ ე.წ. საზღვრები გაავლეს, რუსები მას ყოველდღე ცვლიდნენ, დადგა ე.წ. ბორდერიზაციის ეპოქა! ერთ დღესაც ეკლიანი მავთულხლართები ხელახლა გაავლეს რუსებმა და მთელი მინდვრები, ბაღ-ვენახები

მავთუხლართებს მიღმა დარჩა. გაღმა დარჩა არსენას ჩაყრილი და მოვლილი ბაღები, ვენახები, რომელთაც შეჰხაროდა, უვლიდა, ეამაყებოდა. დროდადრო ადიოდა „საზღვართან“ და თავის ბაღებს გულმოკლული გასცქეროდა, სიცოცხლე აღარაფრად უღირდა. ბაღ-ვენახს დარდობდა და ყველაზე დიდი უბედურება წინ იყო, მთავარი სადარდელი წინ ელოდებოდა. მეუღლე უარესად გახდა, სიკვდილი მოახლოებოდა, სოფელში ჩამოიყვანეს, აღარაფერი ესმოდა, ლოგინს მიჯაჭვულს აღარც ენა და აღარც თვალები ემორჩილებოდა. სიკვდილი კარს იყო მომდგარი, როდესაც ამაზე დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. მავთულხლართების ღობეს რუსები მოადგნენ რუკებით, დაიწყეს მიწის ზომვა და ბოლოს არსენა ფაქტის წინაშე დააყენეს: თქვენი სახლი ჩვენს ტერიტორიაზეა მოხვედრილი, დაშალეთ და სამ დღეში დაცალეთ მიწა-წყალიო. ეს ამბავი მეხის გავარდნას ჰგავდა მისთვისაც და მეზობლებისთვისაც. როგორ შეიძლებოდა უზარმაზარი სახლი დაეშალა და გადაეტანა! ან კი რამედ უღირდა სახლის დაშლა-გადატანა, როდესაც ფეხქვეშ ყველაფერი ერთბაშად გამოეშალა! როგორ უნდა გადაეტანა ეს უბედურება!.

მართალია, მწერალმა არსენას პირადი, ოჯახური ტრაგედია წარმოაჩინა, მაგრამ ეს იყო მთელი იმ სოფლის სატკივარი და სადარდელი, იგი მთელი საქართველოს ე.წ. ბორდერიზაციის სურათს ასახავს. ე.წ. ბორდერიზაცია ტერიტორიის ფიზიკურ გაყოფასთან ერთად ადგილზე მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, ოჯახის წევრებისა და ნათესავების დაშორებასაც იწვევს. პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რადგან მათ სახლ-კარისა და სახნავ-სათესი მიწების დატოვება უწევთ. მაგრამ მწერლის მიზანი მხოლოდ ეს არაა. ამას სხვა ტკივილი და უსამართლობა ახლავს. ახლად გავლებული მავთულხლართების შესახებ ქართული საზოგადოება, ძირითადად, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით იგებს. ეს პროცესი ქართულ საზოგადოებაში დაუცველობის, გაურკვევლობისა და უიმედობის განცდებს წარმოშობს, რაც მთელი ერის ტრაგედიას გვითვალისწინებს. ამ ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მოსახლეობამ არ იცის, ე.წ. საზღვრის მონიშვნას და შემოსაზღვრას რუსული სამხედროები შემდეგში კიდევ როდის გადაწყვეტენ, კიდევ როგორ და როდის გაგრძელდება ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი.

ე.წ. ბორდერიზაცია კონფლიქტის ერთ-ერთი გამოვლინებაა და დაპირისპირებული მხარის სტრატეგიის ნაწილად აღიქმება. მოთხრობაში არაა დასმული კითხვა, - ვერც იქნებოდა და ამ კითხვის დასმის საჭიროება და აუცილებლობაც არ იგრძნობა, ისედაც ყველაფერი ცხადია, - თუ რა ფაქტორებთან არის დაკავშირებული ე.წ. ბორდერიზაციის სიხშირე და გააქტიურება. მაგრამ ჩანს, თუ ვის ინტერესებშია ქართული საზოგადოების არასტაბილურ, დაუცველ მდგომარეობაში ყოფნა, რაც აშკარა ემოციურ ფონს ქმნის ნაწარმოებში, რაც უზუსტესად არის ასახული არსენას მაგალითზე, მის განზოგადებულ სახეზე, და კონფლიქტის მეორე მხარის სახე, - ეს დაკონკრეტებულია მოთხრობაში და ისედაც არ იყო ძნელი მისახვედრი, რომ ეს რუსეთია, - აგრეთვე, როგორ შეიძლება აღვიქვათ საინფორმაციო ომი, როგორც ნაწილი ე.წ. ბორდერიზაციისა.

მოთხრობაში ის კითხვაც შეიძლება ამოვიცნოთ, შეუძლია თუ არა მასმედიას, თავისი ქმედებით ე.წ. ბორდერიზაციით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემები გააშუქოს და რა დოზითაა იგი შესაძლებელი. მოთხრობაში იმაზეც მახვილდება ყურადღება, რომ დასავლურ საჯარო სივრცეში საკუთრივ ქართულ თუ კავკასიურ პრობლემასთან მიმართებით დამკვიდრებულია არაობიექტური შეხედულებებიც, თუმცა, კონფლიქტთან დაკავშირებული მრავალმხრივი სირთულეების გამო

ამგვარ რეალობაში ჟურნალისტური საქმიანობა რთულიცაა და საპასუხისმგებლოც, მეტიც შეიძლება ითქვას, უცხოელი და ქართველი ჟურნალისტების მიერ კონფლიქტურ რეგიონში უსულგულო დამოკიდებულებით, მხოლოდ მოჩვენებითი დამკვირვებლის სტატუსით რეპორტაჟების მომზადება სიცოცხლისათვის სარისკოცაა. ერთი შეხედვით ჩანს, რომ მათი მიზანი ისაა, რომ მსოფლიოს აუწყონ იმ უსამართლობის შესახებ, რაც სამაჩაბლოში ხდება. საამისოდ შეიძლება დავიმოწმოთ ჟურნალისტების საოცრად გამაღიზიანებელი საუბარი არსენასთან. სახლ-კარის დაკარგვა არ აკმარეს და ეკითხებიან, ორიოდე სიტყვით გვითხარით, თქვენი სახლიც იქით რჩება და რას ფიქრობთო. არის ვითარება, როდესაც კითხვის დასმა არ ეგების! სავალალოა, რომ მასმედიის წარმომადგენლებმა ეს არ იციან! არც ეთიკური ნორმები, არც ადამიანისადმი თანაგრძნობის სურვილი! მხოლოდ თავიანთი სამსახურის უფროსების დავალებების აღსრულება! ყოველივე ეს მასმედიის წარმომადგენლებსაც ტრაგიკულ პიროვნებებად წარმოგვიდგენს, რადგან მოსახლეობის თვალში ისინი ყოველგვარი ადამიანურისაგან დაცლილად ჩანან.

ერთადერთი, რაც არსენამ ითხოვა, ის იყო, რომ მძიმე ავადმყოფი ცოლისთვის სიკვდილი მაინც ეცლიათ. ესეც არ შეუსრულეს, არსენა და მისი ვაჟი იძულებულნი გახდნენ, ავადმყოფი ქალი არსენას ბიძაშვილის სახლში გადაეყვანათ, სადაც გარდაიცვალა. იქნებ იმიტომაც დაკარგა შეგრძნება, ლაპარაკისა და მოსმენის უნარი, რომ სიკვდილის წინ ვერ გაეაზრებინა თავისი და თავისი ოჯახის ტრაგედია. სხვისი სახლიდან გაასვენეს, ბიძაშვილის ცოლმა დაატირა კიდეც, რა იქნებოდა, რომ საკუთარ სახლში დაეტირებინე უკანასკნელად შენს ქმარ-შვილსო. და სოფელში ახალი სასაფლაოც გაჩნდა, პირველი არსენას ცოლი დაიკრძალა იმ სასაფლაოზე, სადაც დაქვრივებული არსენა ხშირად მიდიოდა და გარდაცვლილს ფიქრში ესაუბრებოდა. არსენამ და მისმა ვაჟმა ის ტკივილიც განიცადეს, როგორ გაჰქონდათ მისი სახლიდან უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს სხვადასხვა ნივთი, თუმცა ამას ვინღა დაეძებდა! ყველაზე მთავარი, მშობლიური მიწა-წყალი, წაართვეს ისე, რომ ახსნა-განმარტება არავის მიუცია, თავადაც კარგად მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა.

პრობლემა, რომელიც გიორგი სოსიაშვილმა დასვა მოთხრობაში, საქართველოს ეროვნული ტრაგედიაა, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც თანამედროვე კოლონიური ძალაუფლების დამანგრეველი შედეგი ქვეყნის განაპირას მდებარე კუთხისათვის, ხელოვნურად შექმნილი საზღვრისპირა ზოლისათვის. ამიტომ მოთხრობის პერსონაჟიც საკუთარ თავს დასავლური სამყაროსაგან გამიჯნულად მიიჩნევს, რადგან მისი სატკივარი და ტრაგედია რეპორტიორს თუ ჟურნალისტს მხოლოდ საინფორმაციოდ სჭირდება, მისი თანაგრძნობა ადგილობრივი მცხოვრებლების მიმართ არ შეინიშნება, ე.ი. მათი სიტყვა და საქმე სხვადასხვაა; ეს ისტორიულად ცნობილი „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“ რომ არაა, დიცის მკვიდრმა, რომელიც რუსის მესაზღვრეებმა მომაკვდავ ცოლთან ერთად საკუთარი სახლიდან გამოაძევეს, ძალიან კარგად იცის. ამ ფაქტის კონსტატაციით მწერალი შეეცადა მკითხველისათვის ეჩვენებინა ძლიერი, მდიდარი და ეგოცენტრული სამყაროს არსებობის არსი, რასაც ქართული ანდაზა ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს: „სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირი“. ე.წ. ბორდერიზაცია და გამყოფ ხაზებთან საქართველოში კონფლიქტების გაშუქება ერთმანეთს მკვეთრად დაცილებულია, მხოლოდ რეპორტაჟის მომზადება არ არის საკმარისი, მოქმედებაა საჭირო, რაც ჟურნალისტებს, რა თქმა უნდა, არ ხელეწიფებათ, არც თავიანთი მომზადებული მასალის გადაცემის შედეგი აინტერესებთ. ადგილობრივი მოსახლეობის

მიმართ თანაგრძნობა და დახმარების სურვილი არ უჩნდებათ, დიცის დაქვრივებული სივრცე, ადამიანური ფაქტორი მათ ნაკლებად აღელვებთ, რობოტულ რუტინას მიჩვეულთათვის მთავარი მოვალეობის შესრულებაა. ან კი რა შეუძლიათ, აქვთ კი რაიმე საქმეში ჩარევის უფლება, მისცემენ მეტროპოლიის წარმომადგენლები რაიმეს გადაწყვეტის საშუალებას, თუნდაც საამისო სურვილი ჰქონდეთ? რა თქმა უნდა, არა. ამას მოთხობის პერსონაჟები ძალიან კარგად აცნობიერებენ.

მწერალი არსენას კიდევ ერთი სადარდელზე გვესაუბრება, რასაც სიმბოლური დატვირთვა ენიჭება. მომავალ წელს ის მერცხლები, რომელთაც მისი სახლის სხვენში ჰქონდათ ბუდე, - მოთხრობაში ეს ბუდე სიმბოლურ ფუნქციას თვალსაჩინოდ იძენს, - სად მიფრინდებოდნენ. შვილი, ირაკლი, ამშვიდებდა, რომ მერცხლები თავიანთ კერას არ მიატოვებდნენ, მაგრამ სადღა იყო კერა! არსენასა და მის მეზობლებს აღარ ჰქონდათ კერა! მერცხლებს საიდანღა ექნებოდათ? ამას ძაღლის დაკარგვაც დაემატა, ბოთე დაიკარგა! ხან სად ეძებდა მამა-შვილი, ხან სად, მაგრამ ახლომახლო ვერ იპოვეს. არსენამ ე.წ. ბორდერიზაციის შედეგად გაღმა დარჩენილი სახლისკენ გაიხედა და იქითკენ გაეშურა. მამა-შვილმა მავთულებს მიღმა სახლთან ძაღლი შენიშნეს, თავით სახლისკენ, რის გამოც ვერ დაინახეს მისი გამომეტყველება. დაძახებაზე არ გამოეპასუხა, არც ინძრეოდა. კენჭი ესროლეს, მაგრამ ბოთეს არც მამა-შვილის ხმა გაუგია და არც კენჭის სროლა უგრძვნია. მოთხრობის ბოლოს ვრწმუნდებით, როგორი კონტრასტულია ძაღლის სახელი თვით ძაღლის ბუნებასთან, რომელმაც სიცოცხლე პატრონის ნაამაგარ სახლთან დაასრულა. ესეც ალეგორიული მისიის მატარებელია.

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა ჩვენი ქვეყნის სატკივარს, ადამიანის არსისა და დანიშნულების პრობლემას, სამყაროში ქართველი ერისა და გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს ადგილას მდებარე საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი ადგილის დამკვიდრების ურთულეს პროცესს ეხება. მის მიერ შექმნილი დრამატული სიუჟეტები, საინტერესო პერსონაჟები, მათი ინდივიდუალური ხედვა და მსოფლმხედველობა, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ესთეტიკური მახასიათებლები გიორგი სოსიაშვილის არა მხოლოდ ამ მოთხრობას, არამედ მთელ მის ნაწარმოებებს განსაკუთრებულ კოლორიტს სძენს. მწერალი ისტორიკოსია, რაც მას საშუალებას და საფუძველს აძლევს, შემფასებლური პოზიციებიდანაც წარმოაჩინოს თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი აქტუალური თემატიკა, საქართველოს წინაშე არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემები, გაარკვიოს მათი წარმომშობი მიზეზები, რითაც მკითხველსაც ისტორიული ანალიზის გაკეთების აუცილებლობის წინაშე აყენებს, ხოლო თვით მწერალი ორიგინალური სტილით, მხატვრული მეტყველებით, მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკით ქმნის ჩვენი ეპოქის ტკივილიან მატიანეს.

Nestan Sulava

The so-called tragic etudes From the world of bordering - Giorgi Sosiashvili's story "Bothe"

The writings of the famous writer and historian, Giorgi Sosiashvili, have attracted the attention of readers for a long time due to their painful themes, ideas, and purposefulness. The main theme of his artistic heritage is the problems related to wrestling. In his stories and novels, the self-perception metaphor of the Georgian ethnos is artistically depicted, which is visible with its positive and negative connotations. His recently published short

story "Bothe" presents the worst situation of our compatriots oppressed by the colonial situation and left completely alone in front of the rest of the world, psychological trauma and tragedy raised from private pain to public in the wake of the life of one family and its fellow villagers. In general, Giorgi Sosiashvili's stories and novels are an artistic chronicle of modern life. It should be especially noted that the environment seen and perceived by the author, who was born and raised in the village of Ditsi in the Liakhvi valley, is more difficult and painful than the one seen by the eyes of an outsider. This story, like other works of the writer, shows the greatest national pain, acute images of the destruction of national pride and their traces on the character's consciousness.

"Bothe" depicts the story of a resident of Ditsi, a family living in Ditsi, which generally informs us of the sad and tragic fate of the entire Samachablo, not only Samachablo, but the tragedy of the lost territories of Georgia and the fate of the people living there. The essay attracts attention based on the intensely developed story with the impressive faces of the specific characters. The goal of the writer is to reflect the difficult history of Georgia in literature; The physical and psychological trauma of the appropriation of "mine" by a "foreigner" is described realistically, almost in a documentary way, against the background of the main character, his family, his neighbors. The story shows the Georgian-Ossetian-Russian relations and confrontations, the manifestation of the Russian brute conquering power in the so-called with borderization, which leaves homeless the so-called The population of the village turned into a border strip. the so-called Borderization is conveyed by brazen daily attacks of the Russian-Ossetian military forces. The intentional negative impact of the aggressor, his use of heavy physical force to maintain full power in the post-Soviet space, put a heavy burden on the traditional existence of the local population. The tragedy of a character in a physically and psychologically difficult situation, which is experienced and reflected as a national tragedy for Georgians, is accompanied by the tragedy of the family. The story deals with the pain of our country, the problem of human essence and destiny, the most difficult process of establishing the place of the Georgian nation and the geopolitically important state of Georgia in the world. The writer and historian Giorgi Sosiashvili, from an evaluative position, presents the topical issues characteristic of the modern era, the national-state problems facing Georgia, investigates their root causes, thereby putting the reader in front of the need to make a historical analysis, while the writer himself creates with an original style, artistic speech, a rich and diverse vocabulary. The painful history of our era.

Нестан Сулава

Трагические этюды т.н. из мира приграничья - рассказ Георгия Сосиашвили "Ботэ"

Произведения известного писателя и историка Георгия Сосиашвили давно привлекают внимание читателей своей болезненной тематикой, идеями и целеустремленностью. Главной темой его творческого наследия являются проблемы, связанные с борьбой за Самачабло. В его рассказах и романах художественно изображена метафора самовосприятия грузинского этноса, которая видна с ее положительными и отрицательными коннотациями. Его недавно опубликованный рассказ «Ботэ» представляет наихудшее положение наших соотечественников, угнетенных колониальным положением и оставшихся в полном одиночестве перед всем остальным миром, психологическую травму и трагедию, перенесенную из личной боли в общественную на волне жизни одной семьи и ее односельчан. В целом рассказы и романы Георгия Сосиашвили представляют собой художественную летопись современной жизни. В этом рассказе, как и в других произведениях писателя, показаны величайшая национальная боль, острые образы разрушения национальной гордости и их следы в сознании героя.

«Ботэ» изображает историю жителя Дици, семьи, проживающей в Дици, которая в целом сообщает о трагической судьбе всего Самачабло, о трагедии утраченных территорий Грузии и судьбы живущих этого региона. Произведение Георгия Сосиашвили привлекает внимание интенсивно развернутой историей с впечатляющими лицами конкретных персонажей. Цель писателя – отразить в литературе тяжелую историю Грузии; Физическая и психологическая травма местных жителей описывается реалистично, почти документально, на фоне главного героя, его семьи, его соседей. В повести показаны грузино-осетинско-российские отношения и противостояния, проявление русской грубой завоевательной силы в т. н. с бордеризацией, в результате которой без крова остается население поселка и их жизнь превратилась в ад на пограничной полосе. Т.н. бордеризация осуществляется наглыми ежедневными атаками российско-осетинских вооруженных сил. Намеренное негативное воздействие агрессора, применение им тяжелой физической силы для сохранения полноты власти на постсоветском пространстве ложились тяжелым бременем на традиционное существование местного населения. Трагедия героя в физически и психологически сложной ситуации, которая переживается и отражается грузинами как национальная трагедия, сопровождается трагедией семьи. В произведении рассказывается о боли нашей страны, о проблеме человеческой сущности и судьбы, о сложнейшем процессе установления места грузинской нации и геополитически важного государства Грузии в мире. Писатель и историк Георгий Сосиашвили с оценочной позиции представляет актуальные вопросы, характерные для современной эпохи, национально-государственные проблемы, стоящие перед Грузией, исследует их первопричины, тем самым ставя читателя перед необходимостью сделать исторический анализ, а сам писатель оригинальным стилем, художественной речью, богатой и разнообразной лексикой создает болезненную историю страны нашей эпохи.

ნესტან სულავა,

ტრაგიკული ეტიუდები ე.წ. ბორდერიზაციის სამყაროდან - გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „ბოთე“

ცნობილი მწერლისა და ისტორიკოსის, გიორგი სოსიაშვილის თხზულებებმა ტკივილიანი თემატიკის, იდეის, მიზანდასახულობის გამო, დიდი ხანია მიიქცია მკითხველის ყურადღება. მისი მხატვრული მემკვიდრეობის ძირითადი თემა სამაჩაბლოსთან დაკავშირებული პრობლემებია, რაზეც განსაკუთრებული გულისტკივილით, სისათუთითა და სიყვარულით საუბრობს და მკითხველსაც იმასვე აზიარებს, რასაც თვითონ განიცდის. მის მოთხრობებსა და რომანებში მხატვრულადაა ასახული ქართული ეთნოსის თვითაღქმის მეტაფორა, რომელიც თავისი დადებითი და უარყოფითი კონოტაციით თვალსაჩინოვდება. ახლახან გამოქვეყნებული მისი მოთხრობა **„ბოთე“** წარმოაჩენს კოლონიური მდგომარეობისაგან დაჩაგრული და მთელი დანარჩენი სამყაროს წინაშე სრულიად მარტოკა დარჩენილი ჩვენი თანამემამულეების უმძიმეს მდგომარეობას, ფსიქოლოგიურ ტრავმას და კერძო ტკივილიდან საზოგადომდე აყვანილ ტრაგედიას ერთი ოჯახისა და მისი თანასოფლელების ცხოვრების კვალდაკვალ. საზოგადოდ, გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები და რომანები თანამედროვე ცხოვრების მხატვრული მატიანეა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლიახვის ხეობაში, სოფელ დიცში დაბადებულ-გაზრდილი ავტორის მიერ

დანახული და აღქმული გარემო უფრო მძიმე და ტკივილიანია, ვიდრე გარეშეს თვალით დანახული. ეს მოთხრობა, მწერლის სხვა თხზულებათა მსგავსად, აჩვენებს უდიდეს ეროვნულ ტკივილს, ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის მწვავე სურათებს და მათ კვალს პერსონაჟის ცნობიერებაზე.

„ბოთე“ დიცის მკვიდრის, დიცში მცხოვრები ერთი ოჯახის ისტორიას ასახავს, რაც განზოგადებულად გვაცნობს მთელი სამაჩაბლოს სავალალო და ტრაგიკულ ხვედრს, - არა მხოლოდ სამაჩაბლოს, არამედ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების ტრაგედიას და იქ მცხოვრებთა ხვედრს. თხზულება ყურადღებას იქცევს მძაფრად განვითარებული სიუჟეტის საფუძველზე კონკრეტულ პერსონაჟთა შთამბეჭდავი სახეების ასახვით. მწერლის მიზანია ასახოს საქართველოს ძნელბედობით აღსავსე ისტორია ლიტერატურაში; ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების, საკუთარი მიწა-წყლის, სახლ-კარის ძალადობრივად წართმევა „უცხოს“ მიერ „ჩემის“ მითვისების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმა მთავარი პერსონაჟის, მისი ოჯახის, მისი მეზობლების ფონზე რეალისტურად, თითქმის დოკუმენტურადაა აღწერილი. მოთხრობაში ნაჩვენებია ქართულ-ოსურ-რუსული ურთიერთობები და დაპირისპირებები, რუსული უხეში დამპყრობელი ძალის გამოვლინება ე.წ. ბორდერიზაციით, რაც უსახლკაროდ ტოვებს ე.წ. სასაზღვრო ზოლად ქცეული სოფლის მცხოვრებ მოსახლეობას. ე.წ. ბორდერიზაცია რუსულ-ოსური სამხედრო ძალების თავხედური ყოველდღიური თავდასხმებითაა გადმოცემული. აგრესორის მიზანმიმართულმა ნეგატიურმა ზემოქმედებამ, მის მიერ მძიმე ფიზიკური ძალის გამოყენებამ პოსტსაბჭოთა სივრცეში სრული ძალაუფლების შესანარჩუნებლად, უმძიმესი დაღი დაასვა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციულ ყოფას. ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად რთულ ვითარებაში მყოფი პერსონაჟის ტრაგედიას, რაც ქართველთათვის ეროვნულ ტრაგედიადაა განცდილი და ასახული, ოჯახის ტრაგედიაც ემატება. მოთხრობა ჩვენი ქვეყნის სატკივარს, ადამიანის არსისა და დანიშნულების პრობლემას, სამყაროში ქართველი ერისა და გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს ადგილას მდებარე საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი ადგილის დამკვიდრების ურთულეს პროცესს ეხება. მწერალი და ისტორიკოსი გიორგი სოსიაშვილი შემფასებლური პოზიციებიდან წარმოაჩენს თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელ აქტუალურ თემატიკას, საქართველოს წინაშე არსებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემებს, არკვევს მათ წარმომშობ მიზეზებს, რითაც მკითხველსაც ისტორიული ანალიზის გაკეთების აუცილებლობის წინაშე აყენებს, ხოლო თვით მწერალი ორიგინალური სტილით, მხატვრული მეტყველებით, მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკით ქმნის ჩვენი ეპოქის ტკივილიან მატიანეს.